,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მე-3 თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულების თაობაზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის ანგარიში

2021 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 82 (ოთხმოცდაორი) განცხადება.

2021 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე შემოსული განცხადებებიდან სრულად დაკმაყოფილდა 77 (სამოცდაჩვიდმეტი) მოთხოვნა.

2021 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე შემოსული განცხადებებიდან 5 (ხუთი) განცხადებასთან დაკავშირებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა სხვა პირებთან დაკავშირებით არსებულ პერსონალურ მონაცემებს. ხოლო, 1 განცხადების შემთხვევაში, განმცხადებელმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს არ წარუდგინა ასლის გადაღების მოსაკრებლის ქვითარი.

2021 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია.

2021 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე შემოვიდა 5 (ხუთი) მოთხოვნა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მოთხოვნის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ხელმძღვანელობდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის ხელმძღვანელისა და მისი მოვალეობის შემსრულებლის მიერ;

2021 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხარჯი არ გაუწევია, ხოლო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის წარმოდგენილი მოსაკრებლის საერთო ოდენობამ შეადგინა 5.60 (ხუთი ლარი და 60 თეთრი) ლარი.